საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004036

„9“ სექტემბერი 2024 წ. — ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; მის: ქ. თბილისი, ვ. [illegible] 41 I შესახვევი №1
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „[illegible]" (ს/კ 245578398)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის [redacted])
მის: ქ. [illegible], 26 მაისის ქუჩა №21ბ, დირექტორი, [redacted] 2018 წლის 21 თებერვლის №2-937 ბრძანება [illegible] გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004036 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1.
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №004036 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2.

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 8 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი მეორე ნაწილის შესაბამისად და ასევე კოდექსის 79⁷ მუხლის შესაბამისად.

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამ-ენტის უფროსის მოადგილე - მთავარი სპეციალისტი ინსპექტორი [illegible] [illegible].

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible] [illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2024 წლის 9 სექტემბრის №004036 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 21 ნოემბრის №DES 2 22 00000350 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ, განხორციელდა შპს „ევროპეტროლი"-ზე (ს/კ 245578398), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანებით გაცემული, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. კომპანია, საქმიანობას არ ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანების **მე-4 პუნქტი**). კერძოდ:

1.1. **პირველ** სარეზერვუარო პარკში, დამონტაჟებულია **სამი ახალი 3000მ³, 2000მ³ (ნავთობპროდუქტების შესანახი) და 750 მ³ (ტექნიკური წყლის შესანახი) მოცულობის რეზერვუარი,** ნაცვლად გზშ ანგარიშით გათვალისწინებული 5 რეზერვუარისა (4 ცალი - 3000მ³ და 1 ცალი - 750 მ³) , ასევე **პირველ** სარეზერვუარო პარკში, გზშ ანგარიშის შესაბამისად, განთავსებული **უნდა იყოს 15 ცალი,** თითოეული 47მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარი, თუმცა ფაქტობრივი მდგომარეობით, **ადგილზე განთავსებულია 14 ცალი 47მ³ და 1 ცალი 55მ³ მოცულობის რეზერვუარი;**

1.2. კომპანია, საწარმოს ექსპლუატაციისას არ ახორციელებს ხმაურის დონის მონიტორინგს;

1.3. კომპანია, საწარმოს ექსპლუატაციისას არ აწარმოებს წყლის პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციას;

2. შპს „ევროპეტროლი“ არ ახორციელებს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების ტექნიკურ კონტროლს (2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანების **მე-5 პუნქტი**);

3. არ არის უზრუნველყოფილი ახალი რეზერვუარების მშენებლობის დაწყებამდე №15 საპროექტო რეზერვუარისა და №1-№3 არსებულ რეზერვუარებს შორის, სიტუაციურ

გენ-გეგმაზე, №30 საპროექტო და №4, №2 არსებულ რეზერვუარებს შორის აღებული მანძილების შესაბამისობა, ტექნოლოგიურ და სახანძრო უსაფრთხოების ნორმატივებთან. ასევე, არ არის უზრუნველყოფილი №13, №12 და №11 საპროექტო რეზერვუარების სიტუაციურ გენ-გეგმაზე და №26, №27 და №28 რეზერვუარების გენ-გეგმაზე დაცილების მანძილების შესაბამისობა ტექნოლოგიურ და სახანძრო უსაფრთხოების ნორმატივებთან და შესაბამისი დოკუმენტაციის სამინისტროში განსახილველად წარდგენა (2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანების **მე-6 პუნქტი**);

4. კომპანიამ, ახალი რეზერვუარების ექსპლუატაციაში გაშვებამდე არ უზრუნველყო ნიადაგის (გრუნტის) ფონური მაჩვენებლების (დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციები) განსაზღვრა. ამასთან, ექსპლუატაციის პროცესში არ აწარმოებს ნიადაგის დაბინძურების ხარისხის კონტროლს (2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანების **მე-7 პუნქტი**);

5. კომპანია არ აწარმოებს რეზერვუარებზე დამონტაჟებული სასუნთქი სარქველების შემოწმებას (2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანების **მე-9 პუნქტი**);

6. კომპანიამ არ უზრუნველყო საწარმოს (ნავთობბაზა) შესაბამისი უბნების (რეზერვუარების ირგვლივ) აღჭურვა ქაფ-გენერატორებით (2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანების **მე-11 პუნქტი**);

7. კომპანია ნარჩენების მართვას არ ახორციელებს ნარჩენების მართვის კოდექსით და მასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად (2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანების **მე-12 პუნქტი**). კერძოდ:

7.1.არ აწარმოებს ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგებას;
7.2.არ აწარმოებს სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების შესახებ აღრიცხვას/დოკუმენტირებას;
7.3.საწარმოში მოწყობილი სახიფათო ნარჩენების სათავსო არ არის მარკირებული;
7.4.სახიფათო ნარჩენების მართვის მიზნით, არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება შესაბამისი უფლების მქონე ორგანიზაციასთან;

7.5. კომპანია არ უზრუნველყოფს მომსახურე პერსონალისათვის სწავლების ჩატარებას ნარჩენებთან მოპყრობასთან დაკავშირებით;

8. კომპანიას არ გააჩნია სამინისტროსთან შეთანხმებული ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებული დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები (ზდჩ) ნორმების პროექტი. ამასთან, ინსპექტირების პროცესში აღებული იქნა ნავთობდამჭერისა და სალექარის გავლის შემდეგ, სანიაღვრე არხში ჩამავალი ნავთობბაზის ტერიტორიის მონარეცხი წყლის სინჯები. ლაბორატორიული კვლევის შედეგად წყლის სინჯებში შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაციამ შეადგინა 50 მგ/ლ, ხოლო ნავთობპროდუქტების შემცველობამ -5.1 მგ/ლ (2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანების **მე-13 პუნქტი**);
9. კომპანიამ, საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ ინფორმაცია არ აცნობა სამინისტროს (2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანების **მე-16 პუნქტი**).

ამასთან, გამოანგარიშდა შპს „ევროპეტროლი"-ს ნავთობბაზის ტერიტორიის მონარეცხი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლებით, ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა, რომელმაც შეადგინა 42.72 ლარი.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევაზე, შპს „ევროპეტროლი"-ს მიმართ, 2023 წლის 16 იანვარს, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №074068 ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რომელიც დეპარტამენტის 2023 წლის 27 იანვრის №DES42300005211 წერილით, განსახილველად გადაეგზავნა ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2023 წლის 27 თებერვლის №4-219/23 დადგენილებით, შპს „ევროპეტროლი" სცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება კომპანიამ გაასაჩივრა ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და სასამართლომ, 2023 წლის 28 სექტემბრის №4/ა-696-23 გადაწყვეტილებით, კომპანიის საჩივარი არ დააკმაყოფილა და უცვლელად დატოვა

2024 წლის 9 სექტემბრის №004036 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1.

2023 წლის 27 თებერვლის №4-219/23 დადგენილება. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ევროპეტროლი"-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 9 სექტემბრის №004036 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2024 წლის 9 სექტემბრის №004036 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2.

შპს „ევროპეტროლი"-ზე (ს/კ 245578398) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ევროპეტროლი" ვალდებულია:**

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან საქმიანობის განხორციელება მუდმივად უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანების **მე-4 პუნქტი**). მათ შორის:

1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს საწარმოს ექსპლუატაციისას ხმაურის დონის მონიტორინგის ჩატარება, ხოლო შემდგომ აღნიშნული ვალდებულების შესრულება უზრუნველყოს **არანაკლებ წელიწადში ერთხელ;**

1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **მუდმივად** უზრუნველყოს საწარმოს ექსპლუატაციისას წყლის პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოება, კანონმდებლობით დადგენილი წესით და პერიოდულობით;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **მუდმივად** უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების ტექნიკური კონტროლი (2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანების **მე-5 პუნქტი**);

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს №15 საპროექტო რეზერვუარისა და №1-№3 არსებულ რეზერვუარებს შორის, სიტუაციურ გენ-გეგმაზე, №30 საპროექტო და №4, №2 არსებულ რეზერვუარებს შორის აღებული მანძილების შესაბამისობა ტექნოლოგიურ და სახანძრო უსაფრთხოების ნორმატივებთან. ასევე №13, №12 და №11 საპროექტო რეზერვუარების სიტუაციურ გენ-გეგმაზე და №26, №27 და №28 რეზერვუარების გენ-გეგმაზე, დაცილების მანძილების შესაბამისობა ტექნოლოგიურ და სახანძრო უსაფრთხოების ნორმატივებთან და შესაბამისი დოკუმენტაციის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში განსახილველად წარმოდგენა (2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანების **მე-6 პუნქტი**);

4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ნიადაგის (გრუნტის) ფონური მაჩვენებლების (დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციების) განსაზღვრა. ამასთან, **2025 წლიდან, არანაკლებ წელიწადში ორჯერ,** აწარმოოს ნიადაგის დაბინძურების ხარისხის კონტროლი (2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანების **მე-7 პუნქტი**);

5. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2024 წლის IV კვარტლის ბოლომდე,** უზრუნველყოს და შემდგომ წლებში **კვარტალში ერთხელ** განახორციელოს სასუნთქი სარქველების შემოწმება (2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანების **მე-9 პუნქტი**);

6. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს საწარმოს (ნავთობბაზა) შესაბამისი უბნების (რეზერვუარების ირგვლივ) აღჭურვა ქაფ-გენერატორებით (2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანების **მე-11 პუნქტი**);

7. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან ნარჩენების მართვა განახორციელოს ნარჩენების მართვის კოდექსით და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და სამინისტროს 2022 წლის 24 მარტის №2946/01 წერილით, 2022-2024 წლების პერიოდზე შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად (2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანების **მე-12 პუნქტი**). მათ შორის:

   7.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **ყოველწლიურად** უზრუნველყოს ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით და ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემის (wms.mepa.gov.ge) საშუალებით;

   7.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **მუდმივად** უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების აღრიცხვა/დოკუმენტირება;

   7.3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში** უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენების სათავსოების მარკირება ნარჩენების კოდის და ტიპის მითითებით;

7.4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, შესაბამისი უფლების მქონე ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაფორმება, სახიფათო ნარჩენების მართვის მიზნით;

7.5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს მომსახურე პერსონალისათვის სწავლების ჩატარება, ნარჩენების მოპყრობის, შრომის დაცვისა და პროფესიული უსაფრთხოების საკითხებში; შემდგომში პერიოდულად განახორციელოს აღნიშნული სწავლების ჩატარება;

8. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებული დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები (ზდჩ) ჩაშვების ნორმების პროექტის სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა. შეთანხმების შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს პროექტში წარმოდგენილი პარამეტრების დაცვა. ამასთან, დაუყოვნებლივ აღკვეთოს ზედაპირული წყლის ობიექტში დაბინძურებული წყლების ჩაშვება (2018 წლის 21 ნოემბრის №2-937 ბრძანების **მე-13 პუნქტი**).

9. ამასთან, ვინაიდან ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანიას საწარმოში განხორციელებული აქვს ცვლილებები გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული **შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე** (იხ. №004036 ადმინისტრაციული მიწერილობის № 1 დანართის პირველი პუნქტის 1.1 ქვეპუნქტი), შპს „ევროპეტროლი" ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში**, აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, **მიმართოს** სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული **სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით;**

10. გზშ სფეროში შესაბამის აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებების განხორციელებამდე, **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, ადგილზე არსებული პირობების გათვალისწინებით,** შეიმუშაოს და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარადგინოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი". **შეთანხმების შემდგომ** უზრუნველყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში" წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის

2024 წლის 9 სექტემბრის №004036 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2.

წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება.